საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 220
1877

ივერია

№ 220 (221)
1903

ოქტომბერი. 16, ხუთშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოქტომბერი 16, ხუთშაბათი 1903 წ.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“
ფოტოგრაფია
როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,
იჯარით ავიღე
და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სამსონის ძე მომცემლიძე.**

იბეჭდება ახალი გამოცემა წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოებისა

საქართველოს კალენდარი

ვ გუნიასი

რედაქცია ფილ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარი შესწორებულია და შევსებული მრავალის ახალის ცნობებით. კალენდარში მოთავსებული იქნება სხვა-და-სხვა სამეცნიერო წერილი და სალიტერატურო განყოფილება.—კალენდარი წინანდებურად დასურათებული იქნება.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად

ფასი: წიგნის თავში—1 გვ. 10 მან., ½ გვ.—6 მან:
წიგნის ბოლოში 1 გვ.—6 მან., ½ გვ.—4 მან.

განცხადება მიიღება: ტფილისში—საზოგადოების კანცელარიაში, და სოსიკო მერკვილაძესთან ბეჟანიშვილთან და მ. ლადიძესთან, ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან და სშ. ქუთაისში, ვ. ბეჟელიძესთან.

იბეჭდება იმავე „საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდის ფორმატისა. წინა გვერდზე გარდა საეკლესიო ცნობებისა აღნიშნული იქნება ისტორიული მოვლენანი; უკანა გვერდზე მოყვანილი იქნება გამოჩენილ პირთა აზრები, ლექსთა ნაწყვეტები, ისტორიულ ბიოგრაფიული და სხვა გამოსადეგი ცნობები.
(10—5)

წარმოდგენა № 8. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 16 ოკდომბერს 1903 წ.

ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

შეშლილია

დრამა 3 მოქმ. თარ. ვ. აბაშიძის მიერ.

II

მშვენიერ ელენეს მაძიებელნი

კომედია—ფარ. 2 მოქმ. გად. ა. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელისა, მ. მდივანი, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი **აკაკი.**

ავლაბრის ახალი თეატრი № 6.

შაბათს, 18 ოკდომბერს 1903 წ.,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტ. დრამა 5 მოქმ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გამყრელიძისა, მ. მდივანი, ნებიერიძისა. ბ-ნნი: ლ. აწყურელი, ლ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
რეჟისორი გედევანოვი.

მომღერალი

ფ. ქორიძე ასწავლის გალობა-სიმღერას და იტალიურ ენას. ქალი მისი **ვალენტინა**—ფორტეპიანოზე დაკვრას და ფრანგულ ენას. ერმოლოვის ქუჩა № 7. ნახვა შეიძლება დილის 10—1 ს. და სად. 4—6 ს. (5—უ—2)

ტფილისის სახაზინო თეატრი
რუსული ოპერა
ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
ხუთშაბათს, 16 ოკდომბერს 1903 წ.
წარმოდგენილი იქნება

რიგოლეტო

ოპერა 4 მოქ., მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: კარტავინა, სელიუკი, რომანატოვსკისა, დელინა, სკორუბსკაია, ტროიცკაია; ბ-ნნი: რაისკი, იდიუშენკო, ამირჯანოვი, შმაკოვი, კლუზნერი, ფედოროვი, გრინიოვი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ბ-ნი ბოგდიუნოვი.
კაპელმეისტერი ბ-ნი ზოზენი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სიფილისტიკური, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10 11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

მ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.
(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი·

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.
(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

გუშინ, გაკვეთილების შემდეგ, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში სკოლის გამგე-კომიტეტის წევრთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანადასწრებით, გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი მის გამო, რომ მთავარ-მართებელი თავადი გრიგოლ სერგეის ძე გოლიცინი ბედნიერად გადურჩა სიკვდილსა, რომელიც მოელოდა ბოროტ-განზრახველთა თავდასხმის დროს.

კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის სამწუხარო შემთხვევის გამო, გაზეთ „კავკაზში“ სწერია: „ნაშუადღევის ოთხი საათი იქმნებოდა, რომ მთავარ-მართებელი მეუღლითურთ სასეირნოდ წაბრძანდა კოჯრის გზაზე. როდესაც უკან დაბრუნებულან, იმ ადგილს, საცა დაღმართი იწყება საბოტანიკო ბაღისკენ, სადარაჯოს პირდაპირ, ერთბაშად ეტლს ორთავ მხარეს დაეცა სამი კაცი—კავკასიელთაგანი, ერთმა ხანჯალი დასცა თავში თავ. გრიგოლ სერგეის ძეს, ორნი-კი სცდილობდნენ ეტლიდან გადმოეთრიათ, ხოლო თავადი ჯოხით იგერებდა. ეტლის კოფოზე მჯდომი ყაზახი გადმოხტა და შეებრძოლა ბოროტ-განმზრახველებს; ამ გარემოებით ისარგებლა მეეტლემ და მათი ბრწყინვალებანი შინ წაბრძანდნენ. ბოროტ-განმზრახველებმა რევოლვერი დასცეს ყაზახს ფეხში, გაიქცნენ ოქროყანისკენ და ხევში მიიმალნენ. სადარაჯოსთან მდგომი პოლიციის დაბალი მოხელე, ლოლაძის შვილი ცხენით და სხვა იქ მყოფნი კერძო კაცნი დაედევნენ ბოროტ-განმზრახველებს; სწრაფად ქალაქიდან მიემატნენ დარაჯები და ყაზახები. ბოროტ-განმზრახველნი ხევში ჩირგვებს ეტანებოდნენ, ეფარებოდნენ და სროლა დაიწყეს. ასტყდა ორთავ მხარეს სროლა, ერთი ბოროტ-განმზრახველი მოჰკლეს და ორნი დასჭრეს: ერთი სასიკვდილოდ და ერთიც მძიმედ.

მთავარ-მართებელი მეუღლითურთ თვის სასახლეში რო მობრძანდნენ, მოიწვიეს ექიმები და ჭრილობა შეუხვიეს თავადს. თავში სამი ჭრილობაა აქვს ხანჯლით—ორი ქუდ ქვეშე და ერთიც სახეში, ერთი ჭრილობა მარცხენა ხელზედაც აღმოაჩნდა. არც ერთი ჭრილობა, ღვთის მადლით, საშიში არ არის. თავში დაკრულ ხანჯალს თავის ქალა არ დაუზიანებია. მისი ბრწყინვალება სულ მხნედ და მშვიდად იყო და, როდესაც ჭრილობა შეუხვიეს, გამოვიდა დარბაზში, სადაც მრავალნი ადგილობრივის საზოგადოების წარმომადგენელნი უცდიდნენ—ქალნი და კაცნი. აქვე იყვნენ უფროსნი მოხელენი და პროკურორ-გამომძიებელნი, რომელნიც სამოსამართლო პალატის თავმჯდომარის მეთაურობით, საქმის გამოძიებას შეუდგნენ. დაჭრილი ყაზახი სასახლეში მოიყვანეს, სადაც მათი ბრწყინვალებანი უვლიდნენ. მოკლული და დაჭრილი ავაზაკები ყაზახს აჩვენეს და იცნო, ეგენი იყვნენო. დაჭრილ ბოროტ-განმზრახველებმა იმავე საღამოს სული დალიეს.

საქართველოს საექსარხოსოს მმართველის, ყოვლად-სამღვდელო ბენიამინის განკარგულებით, სიონის ტაძარში სამადლობელო პარაკლისი იყო კავკასიის მთავარ-მართებლის თ-დ გოლიცინის გადარჩენის გამო. პარაკლისი შეასრულეს ეპისკოპოზებმა ბენიამინმა და დიმიტრიმ ადგილობრივ სამღვდელოებითურთ. დაესწრნენ სინოდის კანტორისა, ექსარხოსის კანცელარიისა და საერთოდ სასულიერო უწყების მოხელენი.

მოსკოვის საიმპერატორო არხეოლოგიურ საზოგადოების თავმჯდომარეს გრაფინია უვაროვისას მოუწერია საქართველოს საეკლესიო მუზეის თავმჯდომარე ეპისკოპოზ დიმიტრისათვის, გაუგზავნოს მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოებას რამდენიმე ძველი ხელთნაწერი, რომლებიც საჭიროდ დაუნახავთ ქართველთა მხატვრობის დასახასიათებლად.

ფუნიკულერის გამყვან სააქციონერო საზოგადოებამ შეუკვეთა შვეიცარიის ქარხნებს ფუნიკულერის მატარებელი, რომელიც უნდა დამზადდეს და ტფილისს მოვიდეს ხუთის თვის განმავლობაში.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს განკარგულება მოუხდენია, რომ ყველა სასწავლებლის უფროსებმა დაუყოვნებლივ მოახსენონ ყოველი შემთხვევა მოსწავლეთა მიერ უწესოების ჩადენისა და ისეთ საქციელისა საერთოდ, რომლისთვისაც სასწავლებლიდგან უნდა დათხოვნილ იქმნას.

ორთაჭალის მცხოვრებნი და მებაღენი დიდ გაჭირებას ითმენენ იმის გამო, რომ ქალაქის სამმართველო ფანრებს არა სდგამს იმ მხარეს, რომელიც მთელ ღამეს სიბნელით მოცულია. საჭიროა ფარნები მეტადრე ზამთრობით, რადგან მებაღეებმა ძრიელ ადრე უნდა ვამოიტანონ ბაზარში მწვანილეული გასასყიდად და ხან გვიან დაბრუნდნენ შინ. სულ უპატრონოდა ვართ მიტოვებულნიო და მხოლოდ გარდასახადის ასაღებად გვიგონებენო. არც გზა, არც ხიდი, არც განათება და არცა-რა სხვანაირი მზრუნველობა ჩვენთვის არ არსებობსო. ამას წინად თხოვნა მიუციათ ქალაქის გამგეობისათვის ფარნების შესახებ და დაჰპირებიან კიდეც, 35 ფანარს დაგიდგამთო, მაგრამ ჯერ ერთიც არ არის. ვის შევჩივლოთ ჩვენი დარდი და გაჭირება—არ ვიცითო.

გუშინწინ, მთავარ-მმართებლის დაჭრის გამო, ყველა თეატრში წარმოდგენები გადასდეს.

გუშინ, 14 ოკდომბერს, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, დაიწყო კრება ტფილისის სამხედრო საკრებულოსი. ჯერ ათვალიერებენ კენჭის ამოსაღებად გაწვეულ ყმაწვილ კაცთა სიებს.

ვაჭარს ალექსანდროვსა და ინჟენერს ბარონ როოპს, როგორც «ნოვ. ობ.» გადმოგვცემს, უთხოვნიათ მთავრობისათვის, ნება დართონ, რომ ქუთაისიდან რიონის პირად რკინის გზის გასაყვანად კვლევა-ძიებას შეუდგნენ. განზრახულმა გზამ შემდეგ სოფლებზე უნდა გაიაროს: მოწამეთასა, ჯიმისტაროსა, ნოღასა, გუმათსა, ოფურჩხეთსა, ქონეთსა, მემურსა, ოსუნელასა, მექვენასა, ტვიშსა, ვათიანსა, ორხვსა, ლახეპსა, ნაკარამეთსა, ღვარშსა, უჩხერსა, ხოჯსა, ცხეთსა, ორელსა, ლემიმელსა, თხირსა და ხანჯანურზე.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ

მეისრეებსა, ყარაულებს, კონდუქტორებსა და რემონტის მუშებს სამსახურში მიღების დროს პასპორტთან ერთად მოსთხოვონ ხოლმე პოლიციის მოწმობაც კეთილ საიმედოობის შესახებ.

⁂ 13 დეკემბერს დაიწყება საჯარო ვაჭრობა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში დაგირავებულ იმ მამულებისა, რომელთა პატრონებმაც გარდასახადი დროზე არ წარადგინეს. გასასყიდად დანიშნულია 220 მამული. აქედან ტფილისის გუბერნიის მემამულეთ ეკუთვნის 130 მამული, ხოლო ქუთაისისას — 80. ზოგი ისეთი მამული იყიდება, რომელზედაც ვალი მხოლოდ რამდენიმე მანეთია.

⁂ ტფილისის გუბერნატორს ბრძანება გაუცია, რომ დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე ყველა სასმლის დუქნები დაკეტილი იყოს იმ დრომდის, სანამ ყმაწვილ კაცთა ჯარში გაწვევა არ გათავდება.

—

ქალაქის საბჭო. (დასასრული) სიტყვა ითხოვა ისევ... ა. ბ. ევანგულოვმა და დაახლოვებით შემდეგი სთქვა:

«ბატონებო! გაიძახით მივცეთო, მაგრამ საიდგან? ეხლა აღმოჩნდა, რომ საანგარიშო წელს ქალაქს 200,000 მან. დეფიციტი ჰქონია. მე დიდი მომხრე ვარ ქალაქის მოსამსახურეთა ხანგრძლივის სამსახურის შემდეგ პენსიით დაჯილდოვებისა, მაგრამ საიდგან? ჯერ ჩვენ საპენსიო კასა არა გვქონია, მაგრამ ნამსახურს კაცს მაინც ვაძლევდით პენსიას, როდესაც გვთხოვდა. არ ყოფილა მაგალითი, რომ საბჭოს არ შეეწყნარებინოს მთხოვნელის შუამდგომლობა. ყველა ეს მძიმე ტვირთად აწევს ქალაქის კასას. გვიჩვენეთ წყარო და ბატონი ბრძანდებით! თქვენ იმის იმედი გაქვთ, რომ საპენსიო კასის მონაწილენი ხვედრს ფულს შემოიტანენო; ამასთანავე არა გსურთ, რომ «შავი მუშები» და მსახურები იყვნენ საპენსიო კასის მონაწილენი. ვითომ და რა ტომათ? თუ ვისმე პენსია ეჭირვება, ამ უკანასკნელთ უფრო უნდათ: ესენი ყველაზედ მეტსა მუშაობენ და ყველაზედ ცოტა ჯამაგირები კი ეძლევათ, ამიტომაა, რომ ქალაქის დაწესებულებაში თითქმის არც ერთი სასარგებლო მოსამსახურე არა გვყავს. ამასთანავე, კასის საწევრო ფული არ უნდა გამოერთვას იმათ, ვინც 360 მანეთამდე იღებს, მაგრამ უსათუოდ კასის მონაწილეთ-კი უნდა ირიცხებოდნენ; იმათ მაგიერ ხვედრი საწევრო ფული ქალაქმა იხადოს, მაგრამ სანამ ამას დავადგენდეთ, გვაჩვენეთ წყარო შემოსავლისა, სტატისტიკურის ცნობებით“.

წამოდგა არშაკ სერგეიჩი (ბაბოვი) და წაიკითხა ისეთი ცნობები, როგორსაც ევანგულოვი თხოულობდა. არშაკ სერგეიჩი ძლიერ აღელვებული იყო და «რეჩის» დროს ორივე მკლავებს იქნევდა აქეთ-იქით.

წამოდგა ხმ. ან. ს. დოლაძე „სარეჩოდ“, მაგრამ დრიანცელი ასტყდა დარბაზში და სიტყვა არ დაანებეს; ხმ. დოლაძემ საკმაოდ მკვახედ მიჰმართა დანარჩენ მამებს: «მე ხომ ხმოსანი ვარ? მაშასადამე, ნება მაქვს რეჩი ვსთქვაო. ხმაურობამ უფრო იმატა და ხმოსანს არ დააცადეს «რეჩის» თქმა.

წამოდგა ისევ ხმ. ევანგულოვი და სთქვა: «მე სახელმწიფო სამსახურში ვარ, მაგრამ არც ერთს ჩვენგანს იმდენი პენსია არ ეძლევა ნამსახურობის შემდეგ, რამდენსაც ქალაქი აძლევს ხოლმე თავის მოსამსახურეებსაო». შემდეგ მოიყვანა რამდენიმე მაგალითი; ამ მაგალითებზედ ხმოსანმა არშ. ს. ბაბოვმა სთქვა, რომ ყველაფერი, რაც ხმ. ევანგულოვმა სთქვა, მტკნარი სიცრუეაო. (ЛОЖЬ).

ხმ. ევანგულოვი: როგორ ბედავთ მაგნაირ სიტყვის ხმარებას? ვთხოვ მდივანს ოქმში ჩაურთოს ხმ. ბაბოვის სიტყვები, ჩემსკენ მომართული.

ხმ. არ. ბაბოვი. მე ვასწორებ ჩემს შეცდომას და ვამბობ, რომ რაც ხმ. ევანგულოვმა სთქვა, ყველაფერი სიმართლეს მოკლებულია, უსაფუძვლოა.

ხმები: ეგ ხომ ერთი და იგივეა: გინდ „სიცრუეა“ სთქვი და გინდ „სიმართლეს მოკლებულია, უსაფუძვლოა“.

აქ ისეთი დრიანცელი გაიმართა, რომ თავბედისა არა გაიგებოდა-რა. უკვე თორმეტის ნახევარი იყო და დარბაზი თითქმის დაცარიელდა, თურმე ხმოსნები თითო თითოდ გაპარულიყვნენ.

თავმჯდომარემ გამოაცხადა: ბატონებო, მორჩეთ, გავათავოთ ეს საქმე. თორმეტი წელიწადია განსახილველ საგნად ითვლება და არ იქნა, ბოლო ვერ მოვიღეთ.

გაისმა ხმები: „დროა, დროა“!..

როგორც იყო, შეასწორეს ზოგიერთი მუხლები, გამოსცვალეს ადგილი: „საპენსიო კასის წევრთ უნდა იხადონ დადგენილი საწევრო გადასახადი; წევრად მიიღებიან მხოლოდ ისინი, ვინც 360 მანათზედ მეტს იღებენ წელიწადში; კასის მონაწილეებად არ ჩაითვლებიან ისინი, ვინც 360 მანეთამდე წლიურ ჯამაგირს იღებენ; მონაწილეებად არ ჩაითვლებიან აგრეთვე «შავი მუშები». ეს ბოლო ფრაზა გადაასწორეს ასე: საპენსიო კასაში მონაწილეობა შეუძლიან ყველას, ვინც ქალაქის დაწესებულებაში მსახურებს, როგორც იმათ, ვინც 360 მანეთამდე იღებს, აგრეთვე „შავ მუშებსაც“.

აი, ამას მოანდომეს მთელი 3½ საათი ტფილისის „ლიბერალმა მამებმა“, ხოლო დანარჩენი ორი საგანი, რომელიც 6 ოქდომბრის კრებაზე უნდა განხილულიყო, ვერც ამ საღამოს განიხილეს და გადასდეს ხუთშაბათს, 6 ოქდომბრისათვის. ეს ორი დანარჩენი საგანი იყო: 1) საურთიერთო დაზღვევ საზოგადოების ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 2) განცხადება ხმ ხუდადოვისა გამგეობის უკანონო მოქმედების შესახებ „ნაძალადევში“ ქალაქის მიწის იჯარით გაცემის გამო.

[illegible] თორმეტი საათი სრულდებოდა, რომ კრება დაიშალა.

ჩვენებური ამბები

გურია. ბევრი განსაცდელი გამოიარა პატარა გურიამ ამ 2—3 წლის განმავლობაში, ზოგი ბუნებისგან წარმომდგარი და ზოგიც მოულოდნელი, შემთხვევითი. იმ თავიდგანვე გურული ყანის მუშაობას მისდევდა, იყო გარეთ გამოუსვლელი და არ ეგემნა ქალაქების ცხოვრების ავ-კარგი; მაგრამ დროთა მსვლელობამ ყოველივე შესცვალა და თავისი დაღი დაჩნია: იწყეს ქალაქებში სიარული, მიაწყდნენ ქარხანა-ფაბრიკებს იმ იმედით, რომ მეტ ფულს ვიშოვნითო და, თუმცა სოფელში რომ შეიძენდნენ, იმაზე მეტი იშოვეს, მაგრამ ამ მეტ ფულს მეტი მოთხოვნილება წინ გადაეღობა, უკეთესი ცხოვრების გემომ და კომფორტმა ეს ფული არ აკმარა და უფრო უფულო შეიქნა, ვერც ოჯახს შეეწია და აღარც შინ დაურჩა მუშა ხელი, ოჯახის გამომკვები.

ამნაირად კარში გასული გურული შეიქნა მსხვერპლი რთულის ცხოვრების ტალღებისა; სამაგიეროდ, ჰნახა, გაითვალისწინა უკეთესი ცხოვრება. გარეთ გასვლით იმდენი ვერ შეიძინა, რომ უმჯობეს ცხოვრებაშიც ყოფილიყო თითონ და ოჯახშიაც ეგზავნა.

ბოლოს ის გამოვიდა, რომ ყანის მუშაობა, თოხის პირვა აღარ სურს და ქარხანაში დამუშავებულის ლოდინში მისი ოჯახი სულ გაღარიბდა. მისის ოჯახის სიუხვე: ჰადი, ყურძენი, ძროხა, ხარი, ურემი, ცხენი—განქრა.

ვთქვათ 10—15 გლეხი, 2—3 ქცევა მიწის მქონე, ქარხანაში სამუშაოდ წავიდა. ახლა ჰხედავთ, რომ მათში 5-ს თუღა შერჩა საყანე ადგილი, დანარჩენებმა დაჰყიდეს. ასეთი მაგალითები ცოტა იყო და მაინც-და მაინც არ ემჩნეოდა გურიას, მაგრამ, წინა წლების მსგავსად, 6 მარიამობისთვეს და 21 ენკენისთვეს მოსულმა კოკის-პირულმა წვიმამ სულ მთლად გაანადგურა გურულების ნამუშავარი: მდინარის პირად მდებარე ყანები წალეკა და წაიღო, მთებზე და ეწრებზე „ჩამოსპოტა“, ყურძენი ხიდან ჩამოყარა და ყოველივე სარჩო (შინაურ საქონელ ფრინველებიანა) მოუსპო. ამას ზედ დაერთო ის, რომ ძველ და ახალ სიმინდსაც გაუჩნდა პეპელა და, ვგონებ, საჭმელად კი არა, სათესავად აღარ დაურჩეს სიმინდი.

მაშ, რაღა ჰქნას ეხლა გურულმა გლეხმა? უნდა გამოსცადოს შიმშილობა, გაჭირვება, უკიდურესობა. მაგრამ გურული კიდევ არ ეძლევა სასოწარკვეთილებას და... „ფაცურობს“. ამ მოვლენამ ბევრს სახლ-კარი მიატოვებინა და ავაზაკობა-ცარცვა-გლეჯას მიაყოფინა ხელი. ამ ცოტა ხანში ორი მოსახლე გაძარცვეს. ერთს, შინ არ ყოფნის დროს, სულ დაუნგრიეს სახლი, ავეჯეულობა, წაიღეს ყოველისფერი, საცვალიც-კი. მეორეს ღამე შეუვარდნენ სახლში და აგრევე მოიქცნენ, თუმცა აქ-კი მეტი ნადავლი იშოვეს, —ფული, ოქროულობა.

ამავე კრიზისმა გაამრავლა ულაქმურო და „ავარათა“ გუნდი და ამ უკანასკნელთა თავშესაფარად გახდა „რესტორანი“ და ყავახანა, რომლებშიაც გახშირებულია ნარდისა და ქაღალდის თამაში.

გლეხს ფული აღარა აქვს—ვაჭრობაც დაეცა და გარე სოფლიდან სხვა-და-სხვა სანოვაგის შემოტანაც მცირდება. ავდარმა გზები წაახდინა, სად ბოგირები წაიღო და სად. ნატანებში მიმოსვლა გააძნელა. ნატანებში მიმავალ შარა გზაზე გაფუჭდა მდ. სკურდუმის ბოგა (რატომ არ აკეთებენ ამდენ ხანს, გასაკვირია!) ნატანებიდან დილიჟანებ-ფაეტონები მიდიან მდ. სკურდუმამდე და აქ უნდა მგზავრები გადასხდნენ ოზურგეთიდან მოსულ დილიჟან-ფაეტონებში, თუ ღმერთმა ჰქნა და დაგიხვდათ, თუ არა—უნდა იცადოთ დუქანში 3—4 საათი. მაგრამ ცდას ისევ სჯობია ფეხით წახვიდეთ ოზურგეთში, რადგან უფრო ადრე მიხვალთ.

გურიის დედა ქალაქ ოზურგეთში ხომ კარგა ხანია სამკითხველო აღარ არის (სოფლებში-კი თითქმის ყველგან არის). გაზეთის წაკითხვა რომ გინდოდეთ, თუ გყავს ნაცნობი და მისდის გაზეთი, იმას უნდა სთხოვო; ვისაც ნაცნობი არ ჰყავს, იქნებ ვერც ერთი ნომერი ვერ წაიკითხოს.

წარმოდგენებსაც მოკლებული იყო ოზურგეთი, მაგრამ წელს ბედმა გაუღიმა და რამდენჯერმე გაიმართა, რისთვისაც სცენის მოყვარულნი მადლობის ღირსნი არიან...

სწავლა-განათლების მხრივ გურია (ოზურგეთი) პირველობს ჩემულობდა და ჩემულობს; რაც ხანი გადის, სასწავლებელთა რიცხვი მატულობს, როგორათაც ქალებისა, ისე ვაჟებისათვის. ააგეს ახალი შენობა ბაღში ქალების სკოლისთვის და ამასთან გააუქმეს ბაღის „როტონდა“ (მადლობა ალლახს). გურია ეკონომიურად უკან წავიდა, ხოლო სწავლის მხრივ წინ..

ოზურგეთს მოაკლდა წინანდელი მხიარულება: გადაიყვანეს მე-7-ე მსროლელთა ბატალიონი, რომლის ალაგას გადმოიყვანეს არტაანის პოლკის მე-3 როტა (წინანდელ ბატალიონის თითო როტაში 180 კაცი იყო, არტაანის პოლკის როტებში-კი 80 კაცია, ასე რომ ჯარის რიცხვი ძრიელ შემცირდა). ეხლა ვეღარც სამხედრო მუსიკის ხმას გაიგონებთ და სამხედრო კლუბის კარებიც დაკეტილია.

ოზურგეთის კურთხეულ „მამებს“ არ შეეძლოთ, ცოტა გასჯილიყვნენ, ეთხოვნათ და „შტაბ-კვარტირა“ ოზურგეთში ყოფილიყო და არა ბათუმში?.. შეუძლებელი არაფერია, მაგრამ ყოველსავე ცდილობა უნდა, ბეჯითობა... ზოგს სასიხარულოდ აქვს, რომ სამხედრო მუსიკა აღარ უკრავს. ისიც კი სთქვეს, „მუსიკის ხმას რომ გაიგონებენ ქალები, სახლს მიატოვებენ, ოჯახობას თავს მიანებებენ და საყურებლად წავლენო!“ ხომ ჰხედავთ, მკითხველო, თუ რამდენად ყურადღებით ეპყრობიან (დარაჯად უდგანან) ქალებს და რამდენად მომხრენი ყოფილან ქალების კარ-ჩაკეტილობისა! აფსუს, ქალთა ემანსიპაციის დამცველნო!..

საზოგადო საქმის დაწყებასაც (განხორციელებას რომ დავეთხოვოთ) ხელს უშლიან. გამოჩნდა რამდენიმე, რომელთაც დააპირეს კლუბის დაარსება, საცა სამკითხველოც იქნებოდა, წარმოდგენებ-კონცერტები და ლექციებიც გაიმართებოდა, მაგრამ მათი კეთილი განზრახვა ვერ იქმნა სისრულეში მოყვანილი, იმიტომ რომ მეტი ნაწილი წინააღუდგა ამ კეთილ განზრახვას. სხვა ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზებიც გამოუჩნდა, რაც არ ითქმის. აი სად ჰმარხია ძაღლის თავი!

ასე თუ ისე, საზოგადოდ გურიის და კერძოდ ოზურგეთის პროგრესიული მსვლელობა ბევრ ნაირად შეფერხდა და «ზასტოი» ეტყობა, რის მიზეზების ცალკ-ცალკე ჩამოთვლა შეუძლებელია! მაგრამ გურული მაინც იმედს არ ჰკარგავს...

დ. ქარცივაძე.

ფელეტონი

მგზავრის ფიქრები.

ტფილისიდგან სოხუმამდე.

(დასასრული *)

ზუგდიდი.—რკინის გზის მოლოდინი.—დაბის წარმატება.—უწიგნობა და უგაზეთობა.—საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.—„ის ურჩევნია ნამუსსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.—სოფლის უგზოობა.—ს. კირცხი და ჭაქვინჯი.—ჭაქვინჯის ციხე.—ქართული ენის განდევნა.—გადამგვარებელი პედაგოგები.—მშობლიური გრძნობა.—სამურზაყანოელი თავადიშვილი.—სამურზაყანო და სააფხაზო.—უყურადღებოდ დატოვებული ქართველთა ძმები.—რას აკეთებენ მღვდლები?—ქართული იდეა.—ფოთი და ნიკოლაძე.—შავი ზღვა.—ზღვის სურათები —ძველი კოლხიდა.—ისტორიული ფიქრები.—სოხუმი.—მაბეზღარი გაზეთი და მისი ფიქრები.—ზღვის ნაპირზედ.—ზვირთების თამაში.—გამოთხოვება.

ზუგდიდი კარგა მოზრდილი, ლამაზი დაბაა. კაი ხანია სცდილობს ქალაქობას, ან „პოსადობას“, მაგრამ აქამდის არ ეღირსა. რკინის გზისთვის ხომ თავი აქვს გადადებული და არ იქმნა, არ გაიყვანეს. ამბობენ ცნობილ ზუგდიდელ ვაჭრის აბესაძის თვით-მკვლელობის მიზეზი, სხვათა შორის, ამ რკინის გზის გაუყვანლობა იყოო!

მართლაც კარგი იქნებოდა სოხუმ-ოჩემჩირით ზუგდიდსა და ხონში ქუთაისამდის გაეყვანათ რკინის გზა, შუაგულ სამეგრელოს გაივლიდა და ქუთაისსაც დიდად არგებდა, მაგრამ ეხლანდელს კაპიტალისტურს დროში ვინღა სცდილობს ბევრს მცხოვრებლებისათვის? უნდათ ცოტა დახარჯონ და ბლომად აიღონ, და ამისათვის რკინის გზის კომპანიას აურჩევია სოხუმ-ოჩამჩირე—სენაკის გზა, რომელმაც იქნება ზუგდიდსაც ძალიან შორს გაუაროს. დაბა თანდათან შენდება და უკეთესდება. წინანდელი ხის შენობა—დუქნები იწვებოდა და მათს ადგილზედ ქვისას აგებენ; იმ პატარა ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებლის მაგივრად, სადაც გვისწავლია ჩვენ პატარაობისას, ახლა წამოჭიმულია ექვს-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი. არის აგრეთვე ოთხკლასიანი ქალების სკოლა. მხოლოდ წიგნთ-საცავი და სამკითხველო არ მოიპოვება. საკვირველია, რას აკეთებს აქაური ინტელიგენცია? ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ძალიან ნაკლებად იწერენ აქა, რუსული-კი, მაგალითად, „ბირჟ. ვედ.“ ძალიან გავრცელებულია თურმე.

ამ უკანასკნელს დროს, ბ-ნ იონა მეუნარგიას მეცადინეობით, დაარსდა საურთიერთო კრედიტის საზოგადოება, რომლის კრებასა და თვით-მმართველობას დიდი მნიშვნელობა აქვს ზუგდიდელთა გამოსაღვიძებლად. ზუგდიდი ცენტრია სამეგრელოსი, სადაც ეგრე გაჩაღებულია სიმინდისა და აბრეშუმის პარკის ვაჭრობა, და რასაკვირველია, ეს ბანკი, თუ რიგიანად აწარმოვეს, უფრო ხელს შეუწყობს აქ მრეწველობის წარმატებას.

ზუგდიდში შესანიშნავი სამთავრო სასახლე—ერთი დედოფლის ეკატერინესი, აგებული ძველ ბიზანტიურ სტილზედ, და მეორე მთავრის ნიკოლოზისა, პირველზედ უფრო მცირე და ახალ ნახჩზედ აგებული. აქ არის მშვენიერი დიდი ბაღი მეტად ძვირფას მცენარეებით, ტბილი ხილეულობით და მოჩუხჩუხე აუზებით. ამ ბაღის მსგავსი კავკასიაში მეორე არ მოიპოვება და თვით ტფილისის ბოტანიკურ ბაღს არ ჩამოუვარდება; სასახლე და ბაღი, რომელიც წინად სულ მივიწყებული იყო, ამ ჟამად გაუსუფთავებიათ, მოუწყვიათ, რადგან მოელიან უგან. თ-დს ნ. ნ. დადიანს, რომელსაც გადაუწყვეტია ზუგდიდში სამუდამოდ დასახლება და ზუგდიდელნიც მას შეჰხარიან. ვნახოთ, შვილი მამას სჯობებს თუ არა. სხვა რომ არა იყოს-რა, ერთი უმაღლეს სწავლა მიღებული ყმაწვილი კაცი მაინც შეემატება ზუგდიდს, რომელსაც განვითარებული წევრი ძალიან ცოტა ჰყავს.

მასწავლებელი—შვეიცარიელი თავისის აპარატით შეუდგა საქმეს, მე-კი ჩემს სოფელში მივეჩქარებოდი. სამეგრელოს სოფლის გზები ღმერთმა შეინახოს. წვიმიან დღეს ცხენოსანი ტალახში იფლება და გარღვეულ ბოგირებში ცხენს ფეხი უსხლტება. ალლაჰმა უწყის, სად მიდის ხალხისაგან გადახდილი ამდენი ფული.

ს. კირცხი გაშენებულია ხობის წყლისა და ჭანის წყალს შუა. ორივ ნაპირას ჭალების ნიადაგი ნოყიერია და სიმინდი აქ მაღალ ღეროიანი და დიდ-ტაროებიანი მოდის, მხოლოდ ჭანის წყალმა ხშირად იცის ადიდება და ყანების წალეკვა. ჩვენის გაზეთების კორესპონდენტთა თქმისა არ იყოს, კირცხის მცხოვრებლებიც ორ დასადაა გაყოფილი, სოფლის სამმართველოსა და სკოლისათვის ადგილის არჩევისა გამო. ზოგი აქეთ ეწევა და ზოგი იქით. მე მგონია, ეს საქმე უბრალო მოსაგვარებელია, სოფლის საზოგადოების კრებას ხმის უმეტესობით შეეძლო გადაეწყვიტა, თუ რომელი ადგილია სკოლა სასამართლოსათვის, ჰაერისა, წყლისა და მდებარეობის მხრივ, უფრო მოხერხებული და უმეტესობისათვის სასარგებლო. მაგრამ ერთმანეთთან კინკლაობა და მუდმივი განხეთქილება უშლის ხელს. ამ დასობამ და ინტრიგამ აიძულა ახალგაზრდა მღვდელი კ. თ—ლი დაეტოვებინა კირცხი, რომლისათვის იგი ესოდენ სასარგებლო და დაუფასებელი იყო. ინტრიგამ და ბეზღობამ მოუღო ბოლო აგრეთვე ს. ხეთის დაუღალავ და ნამაგდარ მასწავლებლის ე. შ.—იას ღვაწლს.

მშვენიერი საჰაერო საგარაკო ადგილი იქმნებოდა კირცხის მაღლობი, ესრედ წოდებული „უთუთის ფერდი“, ხშირად ქარი რომ არ ჰქროდეს. ამ „უთუთის ფერდში“ შეამჩნევთ ციხის ნაშთს და ქვითკირის ნანგრევებს. აქედგან დიდებულად მოსჩანს ჭანის წყლის მარჯვნივ გაშენებული ჭაქვინჯის ციხე. ძველს დროს უთუთის ფერდსა და ჭაქვინჯის ციხეს შორის იყო თურმე მოპირდაპირეთა ზარბაზნების გრიალი...

ვინახულე ჩემი ჭაქვინჯის ციხეც, სადაც მითამაშნია პატარაობისას. მაღალი და უზარმაზარი ამაყად გადასცქერის მიდამოებს. შიგნით ყანა და ბოსტანი დაუთესიათ, ან რომელი პირუტყვი შეუვათ, —ისეთი ქვის გალავანი ავლია. ციხეს რამდენიმე მრავალ-სართულიანი კოშკები აქვს დატანებული ასასვლელ-ჩამოსასვლელი კიბე-კარებით. ადიხარ ზედ და მთელი ოდიში ხელის გულივით წინ გადაგეშლება. მთავარ ციხიდან მოშორებით მდგარ პატარა კოშკამდის გვირაბია გაყვანილი, სადაც კაცი ახლაც თამამად გაეტევა. ეს გვირაბი ჭანის წყლამდის ყოფილა გაგრძელებული. როგორც გადმოგვცემენ, ამ ციხის აგების დროს ხალხი გამწკრივებული ყოფილა გრძლად ჭანის წყლის პირამდის, საიდანაც მოჰქონდათ ქვები, ქვიშა და წყალი ერთი-მეორეზედ გადაცემით. ორ ბოლოს მდგარი კაცები: ერთი, რომელიც იღებდა ქვას წყლიდან და მეორე, რომელიც სდებდა ქვას კიბესთან, მალ-მალე კვდებოდნენ თურმე, ტანის ხშირის დახრა-აწევისა გამო, და მათ მაგივრად სხვებს აყენებდნენ. ციხის შიგნით მოსჩანს დიდი ჭა და აკლდამა, სადაც მოინახება დამიწებული ძვლები ადამიანისა. ციხე სამხრეთით ციცაბო და მიუვალია, ჩრდილოეთით-კი კაკლის ხეებიანი მინდორი აკრავს, სადაც კვირა-უქმეობით იკრიბებიან სოფლის ქალ-ვაჟნი და ცეკვა-თამაშსა ჰმართავენ. აქ ახლოს გამოქვაბულია და მაღლიდან გადმოჩუხჩუხებს ანკარა გრილი წყარო. ამ წყაროს სამკურნალო თვისება აქვს. ყოველთვის სავსეა აქაურობა ახლო-მახლო სოფლებიდან აქ ტანის საბანად და განსაკურნებლად მოსულებით. ჭაქვინჯის ციხე საკვირველად, თითქმის უცვლელად შენახულა აქამდის. მართალია, ზოგან ქვები ძალიან ჩამოუნგრევიათ, მაგრამ უმთავრესი კედელ-კოშკები მტკიცედ სდგას. ასეთი დიდი ციხე სამეგრელოში არ მოიპოვება და ვეჭვობ, საქართველოს სხვა კუთხეშიაც იყოს. ამ ციხეს იხსენიებს, სხვათა შორის ბ-ნი ანტონ ფურცელაძე თავის რომანში—„მაცი ხვიტია“, სადაც სწერს: „ჭაქვინჯის ციხე სდგას ერთს დიდს, მაღალს კლდის ბორცვზედ და გადაჰყურებს მაღლიდან ჭანის წყალსო“ და სხვა.

ს. ჭაქვინჯი კირცხივით დიდი სოფელია. აქ არის ხუთი თუ ექვსი ეკლესია. წერა-კითხვის სამრევლო სკოლის გარდა, ამ ახლო ხანში ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელიც დააარსეს. წინად გახშირებულმა ცხენის ქურდობამ და ავ-კაცობამ შესამჩნევად იკლო.

სამეგრელოს სკოლებში, როგორც მოგეხსენებათ, ფეხი აღაკვეთინეს ქართულს ენას. არც ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელში და არც სხვა სამინისტრო სკოლებში სამშობლო ენას არ ასწავლიან. ერთად ერთ სამრევლო სკოლებში იყო ეგ ენა დაცული და აქაც უნდა მოსპონ! აქედგან ერთი ნაბიჯიღაა თვით ეკლესიებში ქართულად წირვა-ლოცვის მოსპობამდის. მაგრამ აქ ლაპარაკი-კი არა საქმეა საჭირო, პრაქტიკული საქმე. ამ გარემოებით უკმაყოფილოთა შორის იყო რაღაც მითქმა-მოთქმა, რაღაცას აპირებდნენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი სჩანს...

კუდა-ბზიკა აზნაურები და „აზნაურობის მაძიებელნი“ ფრიად აღელვებულნი არიან. ვერ გაუგიათ, თუ რისთვის წინააღმდეგობენ აქა-იქ გლეხები და

---

*) იხილე „ივერია“ № 216.

რუსეთი

საცა-კი სამზრუნველოა, რომელიც ებრძვის ლოთობას, ყველას მისვლია ცირკულიარი ფინანსთა მინისტრისა, ხელი შეუწყვეთ ლექტორებს, რომელთაც გაგზავნით ყველგან, მთლად მიყრუებულ სოფლებშიაც-კი, რომ ლექციები უკითხონ ხალხსა.

— დაიწყო კრებანი იმ უმაღლ. დამტკიცებულის კომისიისა, სახელმწიფო სეკრეტრის კოკოვცევის თავმჯდომარეობით, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიკვლიოს მიმდინარეობა გლეხ-კაცობის ქონებისა და დოვლათისა შუა-გუბერნიებში სხვა გუბერნიების მკვიდრთა ქონებასა და დოვლათთან შედარებით.

— 8 ოკდომბერს უნდა განხილულიყო საქმე ზლატოუსტის უწესოებათა მონაწილეებისა უფის გუბერნიაში. საქმის განხილვა გადაიდო.

— ვენაში თურმე იბეჭდება რუსულს ენაზე გაზეთი **„Вѣнскій Вѣстникъ“**-ი. რედაქტორს უთხოვნია პეტერბურგის თვით მმართველობისათვის, დამეხმარეთ ამ გაზეთის ფართოდ წარმოებაში ნივთიერადაო. გაზეთს აზრადა აქვს უარ-ჰყოს და გააბათილოს ის კილვა და კიცხვა, რომელიც იბეჭდება ხოლმე უცხოეთის ჟურნალ-გაზეთობაში რუსეთის შესახებაო.

— ნაფიცმა ვექილმა შიდლოვსკიმ უჩივლა **„Харьков. Вѣдомости“**-ს რედაქტორს და ითხოვა, დამიბრუნოს ფული ხელის მოწერისაო. რაკი წინად სხვა რედაქტორი იყო, იმიტომ გამოვიწერე გაზეთი და ახლა მაგის რედაქტორობის გამო შეიცვალა საუარესოდ გაზეთის მიმართულებაც. გაზეთს აძლევს ხასიათს და მიმართულებას რედაქტორი. როცა გაზეთს ვირჩევ გამოსაწერად, იმას ვუყურებ, ვინ არის რედაქტორი და, თუ მისი ღირსება მწამს, კარგ ადამიანად და მწერლად მიმაჩნია იგი, ვაწერ ხელს გაზეთს. როცა გაზეთი გამოვიწერე, მაშინ სხვა რედაქტორი იყო, ახლა სხვაა, რომელიც მე არ მომწონს. ამიტომ ვთხოვ სასამართლოს, ჩემი ფული უკან დამიბრუნოსო. სასამართლომ უარი უთხრა შიდლოვსკის და არ შეიწყნარა მისი საჩივარი.

უცხოეთი

ჩინეთი. პეკინიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზ. „ტოკიო-ნიჩი-ნიჩის“: დესპანს ლესსარს წარუდგენია ჩინეთის მთავრობისათვის შვიდი ახალი მოთხოვნილება და ამასთანავე უცნობებია რუსეთის მთავრობის განზრახვა მანჯურიის შესახებო. ხელშეკრულობის ძალით, რუსეთს ოთხი ვადა ჰქონდა მიცემული მანჯურიიდგან ჯარების გასაყვანად; პირველ ვადაზედ, 1 აპრილს, მართლაც გაიყვანა რუსეთმა ერთი ნაწილი თავის ჯარებისა; მას შემდეგ-კი ხელშეკრულობამ ძალა დაჰკარგა და რუსეთმა, არა თუ დანარჩენი ჯარები გაიყვანა, პირიქით, ყოველ ღონის ძიებასა ჰხმარობდა გაემაგრებინა ყველა სტრატეგიული ადგილები მანჯურიისა და ხელში ჩაეგდო მთელი აღებ-მიცემობა. ამის გამო უცხო სახელმწიფოებმა მოითხოვეს, მანჯურიის სავაჭრო კარნი ყველა უცხო სახელმწიფოებისათვის ღია უნდა იყოს და ბაჟებიც სრულიად უნდა გაუქმდესო.

რუსეთმა ექვის თვალით შეხედა უცხო სახელმწიფოთა მოთხოვნილებას.

ამ ჟამად გაცხარებული მოლაპარაკება აქვთ ჩვენს მთავრობასა და რუსეთს მანჯურიის სვე-ბედის საბოლოოდ გარდასაწყვეტად, რომ მკვიდრ საფუძველზედ დამყარდეს აღმოსავლეთის მშვიდობიანობა, რაიცა ესოდენ საჭიროა აღებ-მიცემობისა და მრეწველობის განსავითარებლად.

რუსეთმა და იაპონიამ ბევრი რამ უნდა დაუთმინ ერთმანეთს, თუ სწადიანთ გონივრულად მოქმედება და ომის თავიდგან აცდენა.

ჩვენი გულითადი სურვილი ისაა, რომ მშვიდობიანად დასრულდეს რუსეთ-იაპონიის ცილობა. მაშინ ერთის მხრით ჩვენი და ინგლისისა, მეორეს მხრით რუსეთ-საფრანგეთის კავშირი სრულიად უზრუნველ ჰყოფს აღმოსავლეთის მშვიდობიანობას. ჩვენი ინტერესები კორეის ნახევარ კუნძულსაც ეხება, ეხება ისე, როგორც რუსეთისა მანჯურიას და ამიტომ უფლება გვაქვს ყოველი ღონე ვიღონოთ ჩვენის ინტერესების უზრუნველ საყოფელად. რუსეთს კარგად უნდა ესმოდეს ყოველივე ესა და, თუ მისი მოქმედება კორეაში მომავალშიაც საზიანო იქნება ჩვენის ფინანსებისათვის და თანაც განზრახვა ექნება ჩინეთისა და კორეის სამფლობელოს შესუსტებისა, რასაკვირველია, აღივსება ფიალა მოთმინებისა და მთელს აღმოსავლეთს საერთაშორისო ომი მოედება.

არა ვგონებთ, რომ ჩვენი სახელმწიფო მოღვაწენი თანაუგრძნობდნენ ამგვარ მოლიტიკასაო.

გაზ. „სინ-ვენ-ბაო“-ს კორესპონდენტი იუწყება პეკინიდგან, — რუსეთის ახალ მოთხოვნილებათა შესახებ, გარდა გარეშე საქმეთა მინისტრისა და მის ამხანაგთა, არავინ უწყის რამეო.

დარბაზობის დროს ქვრივმა დედოფალმა დაავალა გარეშე საქმეთა მინისტრს ლიან-ფანს, — რაც შეიძლება ეცადეთ და მალე გადასწყვიტეთ მანჯურიის საქმეო. ლიან-ფანმა ამის პასუხად თაყვანი სცა დედოფალსა და სთხოვა, გვიბრძანეთ, როგორ მოვახერხო ამ საკითხის გარდაწყვეტაო? ქვრივმა დედოფალმა უბრძანა, ამ საკითხის გარდაწყვეტა შეუძლებელია, თუ ერთი, ან ორი მოთხოვნილება მაინც არ დავაკმაყოფილეთ და ამასთანავე არ შევეცადეთ, რომ რუსეთმა ჯარები გაიყვანოს მანჯურიიდანაო.

— გაზ. „კოლ. ხ.“-ი იუწყება, პეჩილიის უბეში მყოფ ინგლისის ესკადრას კიდევ მიემატნენ ევროპიდან გაგზავნილნი სამხედრო ხომალდები, მაგრამ დანამდვილებით არ ვიცით, რამდენიო. იაპონიის გაზეთების ცნობით, ცხრა დიდი და ხუთი მცირე ჯავშნიანი გემიაო. გემები შეიარაღებულნი არიან 217 დიდისა და 570 მცირე ყალიბის ზარბაზნითაო.

ნარკვევი

რა შედარება შეიძლება რუსეთისა და იაპონიის სამხედრო ძლიერების შორის?! შედარება მხოლოდ იმ მხრივ შეიძლება, თუ რა გვარადა ჰყავს განაწილებული რუსეთს თავისი ჯარები. რუსეთის ჯარის განაწილების ვითარება ისეთია, რომ „რუსკ. ვედ.“-ი ჰგონებს, ვერ ვიტყვით, ვითომ იაპონია ბევრად უფრო სუსტი იყოს სამხედრო ძალითაო.

გაზეთი ამბობს შემდეგს:

> რასაკვირველია, რუსეთი ბევრად ძლიერია იაპონიაზედ, გარნა იაპონიას შეუძლიან ასეთს ბრძოლაში, რომელიც მის საარსო ინტერესებს შეეხება, მეტად გამოიდოს თავი, მეტი ძლიერება გამოიჩინოს სულისა. რუსეთს-კი შეუძლიან მხოლოდ ნაწილი დახარჯოს თავისი ძალისა შორეულ აღმოსავლეთში, რადგან დანარჩენი ძალ-ღონე საჭიროა მისთვის შინვე. ყოველ შემთხვევაში, ომი რომ დაიწყოს, რუსეთი იძულებული იქნება ხანგრძლივ ახმაროს თავისი ძალა და ზრუნვა ამ ომს, რაც ვეღარ მოაცლიდა თავისს შინაგან კულტურულ განვითარებისათვის ეფიქრნა. ინგლისის მაგალითი თვალ-წინა გვაქვს. ინგლისმა დიდი ძალ-ღონე მოანდომა ომსა და ბრძოლას სამხრეთ აფრიკაში. ეს გარემოება ცხადად გვიმტკიცებს, რომ ძნელია დაპყრობა შორეულს ქვეყანაში, თუნდა ბევრად სუსტს მტერსაც ებრძოდე.
>
> ვსთქვათ თუნდა, რომ ბოლოს იაპონია დამარცხდება, მაინც გამარჯვება ძრიელ ძვირად დაგვიჯდებაო.

ამიტომ დიდად სასურველია, რომ ყოველი ღონისძიება იქმნას ხმარებული, რათა მშვიდობიანის მოლაპარაკებით და ურთი-ერთის დათმობით გათავდეს დავა იაპონიასა და რუსეთს შორის.

სასამართლოს მატიანე

ამ თვის 8-ს ტფილისის მესამე მომრიგ. სასამართლოს განყოფილებაში უნდა გარჩეულიყო საინტერესო საქმე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარის ბ-ნ მელნიკოვისა და ქ. ჩხარტიშვილისა, რომელთაგან პირველს ბრალდება მეორეს შეურაცხყოფა. საქმე გადაიდო ბრალდებულის მელნიკოვის გამოუცხადებლობის გამო, იმ თვის პირველისათვის.

რადგანაც ზოგიერთ გაზეთებში ამ საქმის ვითარება შეცდომით იყო გადმოცემული და ჩვენს გაზეთში-კი სულ არ ყოფილა აღნიშნული, ამიტომაც, მეტი არ იქნება გავაცნოთ მკითხველები შინაარსს ამ საქმის გამო ჟანდარმისაგან შედგენილ პროტოკოლისას.

«ივანობისთვის 15-ს საფოსტო მატარებლის № 3 სადგურზე შეჩერების დროს, ამბობს პროტოკოლი, შემდგენი—პირველი კლასის ბუფეტის პატრონის მეუღლემ ჩხარტიშვილისამ კაცი გამომიგზავნა—დამიფარე მთვრალ მგზავრის შეურაცხყოფისაგანაო. როცა მე პირველი კლასის დარბაზში შევედი, ის მგზავრი პლატფორმაზე გადიოდა, მალე მესამედ დარეკეს კიდეც და მატარებელი წავიდა იმ მგზავრიანად, რომელიც ყოფილა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე ვლადიმერ სერგეის ძე მელნიკოვი.

ქ-მა ჩხარტიშვილისამ გამოაცხადა: „მელნიკოვმა, დამთვრალმა, ავსო ლუდით ჭიქა, მოვიდა კასსის მაგიდასთან, რომელზედაც ვწერდი, დალია ჩემი სადღეგრძელო და იმღერა «მრავალ-ჟამიერი». მე ვთხოვე დაეენებინა ჩემთვის, მაგრამ მელნიკოვმა, მომშორდა-კი არა, მაგიდაზე თავიც დადვა, მოიხადა ქუდი და დამიჩემა «გადამისვი შუბლზე ხელიო», და რა-კი ეს არ ავუსრულე, საპაპიროზე დამკრა ხელზე“.

ეს ჩვენება დაამოწმეს მალვა ჭანტურიაშვილმა და ალექსანდრე წერეთელმა.

მოწმედ ნაკითხმა ტფილისის სადგურის უფროსმა კაზიმირ დ. კუდრიცკიმ აჩვენა: „მატარებლის წასვლის წინად პირველ კლასის დარბაზში ვიყავი; დავინახე, რომ მგზავრი, ბ-ნი მელნიკოვი მთვრალი იყო, ხელში ჭიქა ეჭირა, მღეროდა და მებუფეტეს ჩხარტიშვილისას ეტრფიალებოდა. ჩხარტიშვილისა სთხოვდა, თავი დამანებეთო, მაგრამ მელნიკოვი არ შორდებოდა. —მაშინ ჩხარტიშვილისამ მიატოვა ბუფეტი და მოითხოვა, დამიფარეთო. მელნიკოვის საქციელი ეწინააღმდეგებოდა ყოველ საზოგადოებრივ ზრდილობიანობას და უკანა იქ მყოფნი მგზავრნიც აღელვებულნი იყვნენ მის ყოფა-ქცევით. მაგრამ რადგანაც ვიცოდი, რა საპატიო თანამდებობა უჭირავს მელნიკოვს და არ მსურდა მასთან რაიმე უსიამოვნება მომსვლოდა, ამიტომაც მე დავაჩქარე მატარებლის წასვლა“.

ამ ამბავს მოწმედ დაესწრნენ კიდევ ინჟინერი თ-დი თუმანიშვილი, ა. გვერდწითელი და ბ-ნი კორსაკი, რომელთათვის ჩვენება არ ჩამოურთმევიათ, რადგან პროტოკოლის შედგენას არ დასწრებიან.

როგორ გადასწყდება საქმე, მკითხველთ თავის დროზე ვაუწყებთ.

წერილები

რედაქციის მიმართ

I

შარშან გაზეთ „ივერიის“ ერთერთ ნომერში წერილი გვქონდა მოთავსებული ხელოსანთა მოურავის საყურადღებოდ. იქ სხვათა შორის ვურჩევდით, მცირე წლოვანი შეგირდობა პატივსან შრომაში აღეზარდათ და, თუ საკვირაო სკოლაში ავარჯიშებდნენ, ხომ უკეთესი აღარა იქნებოდარა. მას შემდეგ წელიწად-ნახევარი გაირბენს ჩქარა და მათის ბედ-იღბლისათვის დღესაც არავინა ჰზრუნავს. აი რამ მათქმევინა ესა: თვე ნახევარი მეტია, დალაქებს კვირაობით დუქნებს აღარ აღებინებენ. ვინ არის ამაში წაგებული ან მოგებული? რომელ ოსტატსაც ცოლშვილი ჰყავს, შეგირდს სახლში მოისამსახურებს, რომელსაც არა და — ქუჩა-ქუჩა ხეტიალით ანდა ყავახანეში ანუ სამიკიტნოებში ათას გარყვნილებას უნდა უცქიროს. მე ჩემის თვალითა ვნახე სხვადასხვა სამიკიტნოებში ქარგლებთან ერთად ისეთი შეგირდები, რომელთაც ჯერ პირზედ რძე არ შეჰშრობიათ. რასა ჰფიქრობს ჩვენი სახელოსნო გამგეობა? ცოდონი არ არიან ეს უბადრუკის შვილებიო?! თუ ამაზედ მეტი გულ-მტკივნეულობა არ შეუძლიანთ გამოიჩინონ, ისევ ნება მისცენ კვირაობით, როგორც უმუშავნიათ, ისევე ისე იმუშაონ, თორემ მთლად წყალ-წასაღებლები შეიქმნებიან ქარგალ-შეგირდები და ერთი ახალი უბედურება კიდევ მიემატება მრავალ სისაძაგლეს.

ს. ბერძნიშვილი.

II

«ივერიის» 207 ნომერში იყო მოთავსებული შემდეგი წერილი: «ამ დროს ჩვენს ქალაქში ხმები გავრცელდა, რომ ვითომ წასულ წელს ბოდბის წმიდა ნინოს მონასტრის სასწავლებელში ქართული ენა სრულე-

---

არ აძლევენ გადასახადს. როცა მაზრის უფროსმა დაიბარა რამდენიმე გლეხი და გამოჰკითხა არეულობის მიზეზი, გლეხებმა უპასუხეს: „ბატონო, ჩვენ დროებით ვალდებულ გლეხებს გვეძახიან და ნუ თუ ეს „დროებით ვალდებულება“ ამდენსხანს არ გათავდაო?“ წვრილ-ფეხა ფეოდალებს უკვირთ; — თუ აქამდის იხდიდნენ ყოველ-გვარს ბეგარას, ახლა რა ეშმაკმა გადარიაო? ეგ სულ „ხასწავლ კაცების“ ბრალიაო, და ყველას ეჭვით უყურებენ...

მართალია, მეგრელი მოზარდი თაობა მოკლებულია სკოლებში დედა-ენას, მაგრამ ძვირად თუ ვინმე რჩება ქართულ წერა-კითხვის უცოდნელი. შინ დედ-მამა ასწავლის, ან გარეშე სადმე უექველად შეასწავლის. ადრე თუ გვიან მაინც იფეთქავს მათში მშობლიური გრძნობა. ამის შესახებ საგულისხმო მაგალითი გადმომცეს. ერთი ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული ყმაწვილი შევიდა თურმე თავისუფალ ჯარის კაცად („ვოლნოოპრედელიაიუშჩი“) და გაგზავნეს შორეულს ქვეყანაში, სადაც ჯარის უფროსად ქართველი თავადიშვილი იყო. თავადს ძალიან გაუხარდა ამ უცხო მხარეში ქართველ ყმაწვილ კაცის ნახვა, მიიპატიჟა თავის ბინაზე და ტკბილი საუბარი დაუწყო. მაგრამ წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როცა სტუმარმა ქართულად სიტყვაც არ დასძრა.—რა ვქნა, ბატონო, სასწავლებელში ქართული არ უსწავლებიათო!

— დამეკარგე აქედგან და თვალით არ დამენახვო, ვიდრე სამშობლო ენით არ დამელაპარაკებიო!

ყმაწვილ კაცს ამ საყვედურს სიკვდილი ერჩია, დასწყევლა მისი გადამგვარებელი პედაგოგები და მხურვალედ დაეწაფა ქართულის სწავლასა...

გამოვეთხოვე ჩემს სოფელს და მატარებელი კვლავ მიმაქროლებდა ფოთისაკენ. ვაგონში ცოტა ხალხი იყო. დაბინდდა. სანთლის შუქი ოდნავ გამოჰკრთოდა.

კუპეში ჩემს პირდაპირ იჯდა ერთი ჩერქეზულად სადად ჩაცმული ყმაწვილი კაცი. — სად მიბრძანდებითო! — მკითხა რუსულად. შევხედე — სათნო და სანდომიერი გამომეტყველება ჰქონდა.

— მე ფოთში გიახლებით და იქიდგან სოხუმს.

— მაშ ერთი გზა გვქონია.

— დიდად სასიამოვნოა.

მე ცოტა არ იყოს, დამაინტერესა ამ ჩოხიანმა მგზავრმა და მისმა წმინდა ლიტერატურულ რუსულად ლაპარაკმა. გამოვეცნაურეთ ერთმანეთს. ჩემი მეტად ზრდილობიანი ახალ-გაცნობილი აღმოჩნდა სამურზაყანოელი თავადიშვილი. უსწავლია ერთს საშუალო სასწავლებელში. მაგრამ მამა მოჰკვდომია და მალე დაჰბრუნებია მამულს თვითონ ასეთი ყმაწვილი იყო და შვილი გიმნაზიელი მყავსო. ბოდიში მოიხადა, რომ ქართულად სუსტად ვლაპარაკობო. რუსული და მეგრული უფრო ეხერხებოდა ჩვენს სასწავლებელში აფხაზებისათვის ქართულის სწავლა სავალდებულო არ იყო და არც ქართული ენის მასწავლებელი გვასწავლიდა (დამისახელა ერთი პატივცემული პედაგოგი), რასაც ძალიან ვნანობ ახლა და იმ მასწავლებელსაც საყვედურს ვუთვლიო. მე მწუხარება გამოვსთქვი, — სამურზაყანო და საფხაზო სულ ჩამოშორდნენ საქართველოს, ქართული არსად ისმის და თქვენ, ადგილობრივი ინტელიგენცია, არაფერს აკეთებთ-მეთქი.

— ამ უბედურების ბრალი ისევ ჩვენს უფროს ძმებს — ქართველებს ედებათ. — როგორ? — საფხაზო უპატრონოდ დარჩა, აფხაზებს ქართველებმა ძმურად არ გაუწოდეს ხელი და არ დაარწმუნეს, თქვენც ჩვენი ძმები ხართო, ჭირი და ლხინი ერთად ავიტანოთო. თავისუფლების მოყვარე მცხოვრებლები ვერ შეურიგდნენ ახალს რეჟიმს და საუკეთესო კაცები აფხაზეთისა სულ ოსმალეთში გარდაიხვეწნენ და ამ მაჰაჯირების მშვენიერს მამულ-დედულს ახლა სხვები დაეპატრონენ. ქართველ მოღვაწეთა და ინტელიგენციის მოვალეობა იყო წასულიყვნენ საფხაზოში, გაევრცელებინათ ქართული ენა, სწავლა-განათლება, აღეძრათ ხალხის გულში საქართველოს სიყვარული და თვით-ცნობიერება; დაახლოვებოდნენ ჩვენს მხარეს, მტკიცე კავშირი შეექმნათ აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის, და ბედისაგან დაჩაგრული ხალხი წამოეყენებინათ. ეს თავისს დროზედ ვერა ჰქმნეს ქართველებმა და აწი ძნელია საქმის გამოკეთება: წარმოიდგინეთ, კობულეთლები და სხვა გამაჰმადიანებული ქართველები ჩვენზედ უფრო ბედნიერნი შეიქმნენ. მათ ქართული სკოლები და სამკითხველოები დაუარსეს, — მათ შორის ქართულს აგიტაციის სწევდნენ, წიგნებს ავრცელებდნენ და ჟურნალ-გაზეთებიც მათ შესახებ ბევრსა სწერდნენ. ჩვენ-კი? ჩვენ სულ დავავიწყდითო. კარგი, თუნდაც აფხაზები, რომელთა ენას, თუ გნებავთ, არავითარი მსგავსება არა აქვს ქართულთან, მაგრამ რა დააშავა სამურზაყანომ სადაც ყველა მეგრულად ლაპარაკობსო.

მე შევნიშნე, რომ ქართველებს აფხაზებიც არ დაუტოვებიათ სულ უყურადღებოდ-მეთქი, სამურზაყანო-საფხაზოში მღვდლები თითქმის ყველა ქართველია და ნუ თუ ესენი არაფერს აკეთებენ? დავასახელე აგრეთვე ორიოდე მოღვაწე და მასწავლებელნი, რომელნიც აფხაზეთში ქართულ იდეას ემსახურებიან.

— ორიოდე მასწავლებელთა ღვაწლი წვეთია ზღვაში. ხოლო რაც შეეხება მღვდლებს, უმჯობესი იყო ისინი სულ არ გეხსენებინათ. ჩვენებური მღვდლები მხოლოდ თავისს კუჭსა და ჯიბეს ემსახურებიან. ხალხი ბნელეთში ჰყავთ და თითსაც არ ანძრევენ მათ გამოსაღვიძებლად, ამათ აქ სახელი გაუტეხეს ქართველებსო.

კიდევ ბევრი ვილაპარაკეთ მე და ჩემმა თანამგზავრმა. იგი ამტკიცებდა, რომ აფხაზნი მაინც არ გადაგვარდებიან. განათლებული აფხაზი უმეტეს შემთხვევაში ისევ თავის მამულს უბრუნდება და ეროვნულს ტანისამოსს იცვამს; გვარებიც წმინდა ქართული გვაქვს; შარვაშიძე, ანჩაბაძე, ინალიშვილი, ემუხვარი და სხვ, თვით ჩემი გვარი იგივე ქართლის თავადის გვარია (ცოტა გადასხვაფერებით (აქ დამისახელა ერთი ქართლელ დიდ თავადისშვილთა გვარი) და საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენ ქართლიდან ვართ გადმოსულნიო.

აფხაზეთის თავად-აზნაურობა ძალიან გაგვამაგრა ქონებრივად მამულებზედ ფასის აწევამ, მხოლოდ გამოუცდელობით ბევრი მამული ჩალის ფასად დავკარგეთო.

ამ ლაპარაკით ფოთში მივედით. ნიკოლაძის სამოურავო სდუღს და გადმოდის. ნიკო ნიკოლაძემ მწერლობას თავი გაანება და მთელი თავისი ენერგია ამ პატარა ქალაქის წამოყენებას მოანდომა. აკეთებს ბუხტს და მეორე რკინის გზის გაყვანასაც სცდილობს. ქალაქის ბაღის პირდაპირ რიონზედ, სადაც ამ რამდენისამე წლის წინათ „ფილუკით“ გავდიოდით, ახლა დიდი ხიდია აშენებული. უზარმაზარი ნავთ-სადგური კიდევ უნდა გაადიდონ, გაამაგრონ, რომ დიდს ხომალდებს, რომელნიც ახლა ზღვის აღელვების დროს სულ არ შემოდიან ფოთში, თავისუფლად შეეძლოთ აქ გაჩერება. ზღვაში შეყოლებულ ქვის კედლებზედ აქა-იქ სდგანან მეანკესენი, უფრო დედაკაცები, და თევზებს იჭერენ.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ მოვიდა გემი რუსეთის საზოგადოებისა, ქშინვა-ღრიალით, და მეორე დილამდის მოუნდა საქონლით დატვირთვას. მატარებელივით გემიც საშინლად გაივსო ხალხით, უფრო ქართველ მუშებით, რომელნიც მიდიან შავი ზღვის პირის ქალაქებში სამუშაოდ.

აქ უფრო გრძნობიერ გამოთხოვების სურათი იყო. წინ უფრო საშიშარი გზა გვიძევს—მღელვარე ზღვა. ვეღარც ცას მიწვდები, ვერც დედა-მიწას. აი, დედ-მამა ეთხოვება ჩრდილოეთში მიმავალს შვილს —სტუდენტს; აქ არის პაწია და, რომელიც ყელზედ ეკიდება ძმას და არ უშვებს. ახალგაზდა ცოლ-ქმარნი წუხილით და მხურვალედ ესალმებიან ერთმანეთს. ორი მეგობარი სიტყვას არ აცლიან ერთი-მეორეს და მაგრად უჭერენ ხელებს, მათ სახეს მტკიცე გარდაწყვეტილება ატყვია. ზოგგან ქვითინიც მოისმის.

ბოლოს დაიძრა გემიც. ნელ-ნელა გავიდა ნავთ-სადგურის გასასვლელს, მამა ნაპირიდგან მოწყენით მისჩერებია გემზედ მდგარს შვილს. პაწია და ცხვირსახოცს აქნევს. სტუდენტი უკუ იხედება მათკენ და თვალთ ცრემლი მოადგება...

მიდის გემი. მიაპობს წყალს, რომელიც აღქაფებული სცემს შავს კედლებს. ხმელეთის ნაპირები თანდათან თვალთ მიგვეფარა. არაფერს ვხედავთ გარდა ცისა და ზღვისა. კარგი ამინდია და „პალუბაზედ“ ვდგევართ. მზის სხივები ტალღებს ეთამაშება და ბროლივით ამქვირვალებს. ლაჟვარდი ცის კიდური თითქოს ზღვას მიჰბჯენია. რა მშვენიერი სანახობაა! სამართლიანია ბ-ნ არტურ ლეისტის საყვედური,—ქართველს პოეტებს მართლაც არ ეხერხებათ ზღვის აღწერა-დასურათება, თუმცა ეს ზღვა ჩვენ სამშობლოს ნაწილს შეადგენს. ჩვენი ახალგაზდობა უმეტესად ამ ზღვით დადის რუსეთსა და საზღვარ-გარედ და ნუ თუ მათში არაფერი ფიქრი არ აღუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით არ ესწავლებინოთ შეგირდებისათვის და არც ქართული წირვა და გალობაო". როგორც მე ნამდვილ წყაროდგან შევიტყე, აი როგორ არის საქმე: ქართულის ენის სწავლება იწყება დასაწყისის კლასიდან და ასწავლიან უკანასკნელ კლასამდის ისრე, როგორც პროგრამა აქვთ მიცემული. ჩვენ გვინდა ისეთი სწავლა იყოს ქართულის ენისა, როგორც ოდესმე იყალთოს ღვთაების მონასტერში (კახეთში) და დავით გარესჯის მრავალ მთის უდაბნოში ყოფილა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ისე აღარსად არის. რაც შეეხება ქართულ წირვა-გალობას, ერთს ხუთშაბათს რუსულად არის წირვა და გალობენ რუსულადვე შეგირდები. ხოლო მეორე ხუთშაბათს არის ქართული წირვა და ქართულადვე გალობენ. დანარჩენ დროს რუსული წირვაა და რუსულადვე გალობენ რუსის მონაზვნები. წარსულ წელს თვით იღუმენთა იუვენალია (მარჯანიშვილის ასული) ასწავლიდა თურმე ნოტებით „რომელი ქერუბიმთას", რადგან რიგიანი მასწავლებელი ვერ ეშოვნა ქართულის გალობისა. წელს-კი ახალი მთავარი გამოუყვანინებია წმინდა ნინოს მონასტერში ქართულ გალობის გულისათვის; მთავარს აქებენ, კარგად იცის გალობაო და ვნახოთ, რა იქნება. ამას შემდეგი დაგვანახვებს.

მღვდელ-მონაზონი ტარასი.

ბიულეტენი

მთავარ-მართებლის ჯან-მრთელობის მდგომარეობისა 15 ოკდომბერს, საღამოს 8 საათზედ.

მისმა ბრწყინვალებამ თავადმა გრიგოლ სერგეის ძემ გოლიცინმა ჭრილობის შეხვევის შემდეგ ღამე 14 ოკდომბრისა კარგად გაატარა. ტემპერატურა იყო $36,_6$. მადა კარგი ჰქონდა. დილით სიცხემ მოუმატა და ავიდა 39°-მდე, ხოლო საღამოს 8 საათზედ სიცხე $38,_5$ ჰქონდა. მაჯა კარგად უცემს. ჭრილობანი მეორედ შეხვევის დროს საუმჯობესო მდგომარეობაში იყო.

მალინინი.
ჩუდნოვსკი.
რუდენკო.
გადომსკი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ოკდომბერი.

პეტერბურგი. «კანონთა კრებულში» დაბეჭდილია, გაუქმებულ იქმნას ფინლიანდიის კრიგს-კომისარიათი და ფინლიანდიის საიმპერატორო სენატის სამილიციო ექსპედიცია, აგრეთვე მოხელენი და კადეტები ფინლანდიის კადეტის კორპუსისა დათხოვნილ იქმნენ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. განძრახული აქვთ ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკაზე 1904 წელს გამართონ მეღვინეობის გამოფენა.

ბირსკი. სოფელ ასკინაში გამართეს სახელოსნო სკოლა.

მოსკოვი. სასტატო მოქალაქემ პავლოვისამ უანდერძა ქალაქს უძრავი ქონება, 200.000 მ, ღირებული, და სხვა და-სხვა ფულიანი ქაღალდები ბრმათათვის.

სტამბოლი. დღიდამ ნოტას გადაცემისა არც ილდის—კიოსკსა, არც პორტას მოლაპარაკება არ ჰქონია პირობით შეკრულ სახელმწიფოთა საელჩოებთან. პორტამ დეპეშით მიანდო თავისს საელჩოებს შეკრიბონ ცნობანი, თუ რას ფიქრობენ სხვა კაბინეტები; და უმზგელია ელის მოხსენებაბასა. პორტასთან დაახლოვებულთა ლაპარაკიდან სჩანს, რომ ოსმალეთმა ენერგიული წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ნოტის სამს მუხლს, ხოლო განსაკუთრებით პირველ მუხლსა; შეიტანა ცვლილებანი და მოითხოვს სახელმწიფოთაგან განმარტებას ბევრის მუხლის შესახებ. მინისტრთა დღევანდელ თათბირზე ნოტას რეფორმებზე ხელ-ახლა გაშინჯვენ.

სოფია. მინისტრ-პრეზიდენტი და სხვა მინისტრები წავიდნენ სხვა-და-სხვა ოლქებში არჩევნებისა გამო.—მცოდნე კაცები ირწმუნებიან, რომ ომის შიში აღარ არისო.—მაკედონიიდამ ხმა მოვიდა, სარაფოვი ცოცხალია და ჯანსაღადაც არისო, ემზადება, ოსმალეთს მოულოდნელი ბრძოლა გაუწიოსო. აქ მოუთმენლად ელიან, რა პასუხს გასცემს პორტა რუსეთისა და ავსტრია—უნგრეთის წინადადებას რეფორმების შესახებ.

მარსელი. ამერიკის კონსული სკინერი ნეაპოლით ჯიბუთში წავიდა, საიდამაც წავა ადდის-აბებუს აბისინიასთან სავაჭრო პირობის შესაკვრელად.

15 ოკდომბერი.

პეტერბურგი. სავაჭრო მეზღვაურობის მთავარ-მმართველის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელი კონტრ-ადმირალი აბაზა დაინიშნა შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულის კომიტეტის წევრად.

უავგუსტოეს მონარქების ბრძანებით, გრაფმა ლამზდორფმა და გრაფმა გოლუხოვსკიმ გაუგზავნეს რუსეთის ავსტრია-უნგრეთის ელჩებს სტამბოლში ერთნაირი ინსტრუქცია, რომლის თანხმადაც ზინოვიევმა და კალიცემ შესაბამი ქაღალდი წარუდგინეს პორტას იმის შესახებ, რომ 1) კონტროლის დასაწესებლად ოსმალეთის მოქმედებისათვის რეფორმების შემოღების საქმეში ხილმიფაშას მიჩენილ ექმნას ორი სამოქალაქო აგენტი რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთისაგან. ეს აგენტები ყველგან თან ახლებიან მთავარ ინსპექტორს და მიაქცევენ მის ყურადღებას ქრისტიანეთა საჭიროებას, აუხსნიან, სად რა ბოროტმოქმედებაც იქმნება შენიშნული ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენლებისა, გადასცემენ შესაბამ ქაღალდებს სტამბოლში მყოფ ელჩებს და აუწყებენ თავიანთ მთავრობას ოსმალეთის ყოველს გარემოებას. მათი მოვალეობა დასრულდება ორის წლის შემდეგ. პორტამ უნდა ბრძანება გასცეს, რომ შეუმსუბუქონ ამ აგენტებს მათის მოვალეობის შესრულება. 2) ოსმალეთის ჟანდარმერიისა და პოლიციის სხვა წესზედ მოწყობა ერთი უფრო საარსო ღონისძიებაა ქვეყნის დასაშვიდებლად. მოწვეულმა ამისათვის რამდენიმე გარეშე სახელმწიფოთა აფიცრებმა, უცოდინარობისა გამო ადგილობრივის ენისა და გარემოებათა, ვერ მოიტანეს შესაფერი სარგებლობა. საჭიროა პირვანდელს პროექტში რამდენიმე ცვლილება მოხდეს, სამს ვილაიეტში ჟანდარმერიის რეორგანიზაცია მიენდობა უცხო სახელმწიფოს გენერალსა, რომელსაც მიაშველებენ დიდთა სახელმწიფოთა რამდენსამე სამხედრო მოხელეს. ამათ ექმნებათ მინდობილი ცალკე რაიონები, იმოქმედებენ, როგორც კონტროლერები, ინსტრუქტორები და ორგანიზატორები და ყურს უგდებენ ჯარების მოქმედებას ხალხის შესახებ. ამ აფიცრებს შეუძლიანთ მოიწვიონ სხვა აფიცრები და უნტერ-აფიცრები უცხო სახელმწიფოთა ჯარებიდან დასახმარებლად. 3) როგორც კი დამშვიდდება მხარე, მოსთხოვენ ოსმალეთს, დაჰყოს ნაწილებად, რომ თვითეულმა ერმა თავისი ადგილი დაიჭიროს. 4) მოითხოვენ, რომ გადაკეთდეს საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებანი. უნდა მიეცეს დაუყოვნებლივ ადგილი ქრისტიანებსა და ხელი შეუწყონ ადგილობრივ თვითმმართველობის განვითარებას 5) დაარსდეს უმთავრეს ადგილებში და ვილაიეტებში კომისია ქრისტიანეთა და მუსულმანთა დელეგატებისა განსახილველად იმ ბოროტ-მოქმედებისა, რომლებიც არეულობის დროს ჩაუდენიათ. კომისიაში უნდა მონაწილეობა ჰქონდესთ რუსეთისა და ავსტრიის საკონსულოების წარმომადგენლებსაც. 6) მოსთხოვონ მართებლობას გაიღოს ფული ქრისტიანეთა ოჯახობის დასამკვიდრებლად და მოსაწყობად წინანდელ საცხოვრებელ ადგილებში და მისაცემად შემწეობისა იმ ქრისტიანეთათვის, რომელთაც ქონება დაეღუპათ, აგრეთვე აღსადგენად სახლებისა, ტაძრებისა და სკოლებისა, რომლებიც ოსმალებმა გაანადგურეს აჯანყების დროს. კომისია, რომელშიაც იქმნებიან ქრისტიანეთა წარმომადგენელნიც, გაანაწილებს გადადებულ ფულს. რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის კონსულებს თვალყური ეჭირებათ, რომ ფული სამართლიანად განაწილდეს. 7) ქრისტიანეთა სოფლები, რომლებიც ოსმალთა ჯარმა გადასწვა, განთავისუფლებულ იქმნებიან ყოველ გარდასახადისაგან ერთის წლის განმავლობაში. 8) ოსმალეთის მართებლობა განსახლავს პირობას, დაუყოვნებლივ განახორციელოს რეფორმების პროექტი. 9) საჭიროა დათხოვნილ იქმნას გაუწვრთნელი ჯარი და ბაშიბუზუკებს აღეკრძალოთ ბრბოების შედგენა.

კიევი. გუშინ ჟმერინკას სადგურზე მეოთხე კლასის ვაგონში, რომელიც პასაჟირებით იყო სავსე, მოხდა აფეთქება. დაშავდნენ ორი კონდუქტორი, ორი ტელეგრაფისტი და 53 პასაჟირი. ამათში 12 ძალიან დაშავდნენ. აფეთქების მიზეზი არ იციან.

სოფია. რაზლოგის მაზრიდგან კვლავ მოდიან ლტოლვილნი. მათი რიცხვი 3000-მდეა, უფრო მოხუცნი, დედაკაცნი და ბავშვები. სულ ლტოლვილთა რიცხვი ბულგარიაში 25,000-ია. თუმცა აცივდა და ავი ამინდებია, რამდენიმე ჯუფთი მაინც განაგრძობს ბრძოლას და იმალება ხეობებში.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს" გაუგია, რომ დიდთა სახელმწიფოთა შორის სრული ერთ აზრიანობაა იმის შესახებ, რომ მხარი დაუჭირონ რუსეთისა და ავსტრიის მიერ შემუშავებულ რეფორმათა პროექტს.

სოფია. ჩეპროკოპიდგან მოვიდა 1000-მდე ლტოლვილი. ბაზარჯიკში იქნებიან დაბინავებულნი ეს ლტოლვილნი. ლტოლვილთ დაედევნა ორი რაზმი ოსმალთა ჯარისა და თოფს ესროდა, ვიდრე საზღვარს არ გადმოსცილდნენ.

პეტერბურგის ბირჟა 4 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,32$^1/_2$
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	99$2^1/_2$
4% სახ. სესხი 1902 წ.	90$^3/_4$
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95$^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	443 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	332 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	282$^3/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4$^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	91$^1/_4$ გაყ.
% ქუთ. სა მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9625 გაყ.
აქციები. ,, ,, ,,	472
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	3850 გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა დაამხ.	193$^1/_2$ წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ძრავს ამ სიდიადეს და სიმშვენიერეს? დიაღ, ქართული პოეზია მოკლებულია ზღვის სურათებს.

შავი ზღვის პირად ძველის-ძველ დროიდანვე დიდი სიცოცხლე და მოძრაობაა, რაიცა უფრო იმატებს, როცა რკინის გზა გაჰკვეთს საფხაზო-სამურზაყანოს ხელ-უხლებელს ადგილებს.

მისცურავს გემი... გველეშაპივით მიაპობს ზღვასა, ხან აიწევა და ხან დაიწევა, ქანაობს აქეთ-იქეთ, გამძვინვარებული ზვირთები ასკდება მის მაგარს გვერდებს და ვერაფერს აკლებს.

გვაგონდება ძველი კოლხიდა და მისი საუკუნო მეგობარი—ეს პონტი ევქსინი. არგონავთების მოგზაურობა. ორთეოზის ციურ ჰანგებით ქარიშხალის დაცხრობა, სცილლა და ხარიბდა. ოდისეის სტუმრობა და გრძნეული ნიმფა კალიოპსო. ხშირი მიმოსვლა კოლხიდელებთან გაჩაღებული აღებ-მიცემობა ბერძნებისა, რომელნიც ახლაც ძველებურად ვაჭრობენ ამ ადგილებში. ოსმალების შემოსევა და აფხაზების გამაჰმადიანება. დამღუპველი ომები შარვაშიძეთა და დადიანთა შორის. გრიგოლ დადიანის მიერ მოწვეულ რუსების გადმოსვლა ყულევში („რედუთ-კალე"). ჰამუთ-ბეი შარვაშიძის წასვლა რუსეთში და „სოხუმ-კალეში" დაბარგებულ რუსების ამოჟლეტა აჯანყებულ აფხაზებისაგან. ომერ-ფაშის შემოსვლა სამეგრელოში და დაბრუნებულ „მაჰაჯირების" ცხენ და ცხენ გასვლა ადიდებულ ენგურში. საფხაზოს მშვენიერ ადგილ-მამულების დანაწილება მაღალ ხარისხოვან უხუცესთა შორის და ამ კუთხის «რუსეთის რივიერად» გამოცხადება. ბრძოლა მეგრელებისა დაუპატიჟებელ სტუმრებთან...

მისცურავს გემი და შორით მოსჩანს სოხუმი... გემი მოშორებით გაჩერდა და ნავებით გადაგვსხეს ნაპირზედ. სოხუმს არა აქვს გაკეთებული ნავთ-სადგური და მისთვის დიდი თანხა გადადებული, მაგრამ როდის მოაწყობენ?

აქ სასიამოვნო სანახავი და სასეირნოა ზღვის ნაპირი, ქვით მოკირწყლული, სადაც აბობოქრებული ზვირთები ასხამს და მუდამ შხუილია.

აქვე გამწკრივებულია სასტუმრო-რესტორანები და ყავახანები, სადაც ყოველთვის ნარდისა და დომინოს თამაშია. კარგია, რომ ზოგ მათგანში ქართულ-რუსული გაზეთები მაინც არის წასაკითხად. საოცრად გავრცელებულია ცნობილი „ჩერნ. ვესტნ.", რომელსაც ბიჭები ძალად გაჩეჩებენ ხელში და თან მოგძახებენ: „სენსაციური ამბავია, გემი მატარებელს დაეჯახაო"!! ამ ხელად პალმი ჩვეულებრივ ბოროტ ღიმილით ლანძღანდარობდა ბ-ნ თ. სახოკიას შესახებ, რომელიც მთავრობამ ქალაქის გამგეობის წევრად არ დაამტკიცა.

სულ წვიმები იყო და ქალაქის რიგიანად დათვალიერება ვერ მოვასწარი, ვერც ფსირცხაში („ახალი ათონი") წავედი. უმზერდი მხოლოდ ზვირთების ბრძოლას კიდესთან და ყურს ვუგდებდი ზღვის შხუილს...

მშვიდობით, ჩემო დაუვიწყარო ნაპირებო! გამოგეთხოვეთ. კვლავ როდის გნახავ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო ზღვავ!..

მელიტონ გობეჩია.

გამოსადეგი ცნობები.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ძლვის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

განცხადებანი

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ სიმოკვლევათა კაბინეტით. გადამდების გჳრითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ექიმი
ბესარიონ პაპოვი

სწამლობს განსაკუთრებით ყელ-ყურისა და ცხვირის ავადმყოფობას. მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა ორშაბათისა და შაბათისა საღამოს 5—7 საათზედ. სხვა დროს მიღება შესაძლოა წინადვე შეთანხმებით. კუკია, რეუტოვის ქუჩა № 26, ავჭალის ქუჩის კუთხეში.
(10—6)



ლ ა ბ ო რ ა ტ ო რ ი ა
რის გუტმანისა
მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნია
(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათა მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდან და სადგურებიდან განსაკუთრებით ზემოხსენებულ [illegible], იმრიგად, რომ ისინი ქვეში არ რჩებიან და ცუდს სუნს არ აყენებენ ოთახებს. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერიებლად ყველაზე ნამდვილი საშუალება სამუდამოდ გასაწყვეტად [illegible] და [illegible] ფასი 35 კაპ., 65 კაპ. 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოდ სწყვეტს. საშუალება სუნის არის და ამასთან არ აფუჭებს სტელებს, შპალერს და ავეჯს. [illegible] ფასი 60 კაპ.—1 მან.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რის გუტმანისა). [illegible] ფასი 60 კ.

მთავარი საწყობი ტფილისში, სასტუმრო. საქართ. გაზ. ამხ.-ში და ყველგან სააფთიაქო მაღაზიებში. (40—6.—40)

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა" № 63.

შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტით და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით. XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი. 50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზე და ღირს ცალი ორი მან.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა ფასი 5 კაპ.

Дозв. цензурою, Тифлисъ 14 октября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებით-რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.